

2011 წელი

პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი

პრობაციის ოფიცერთა გადასამზადებელი ტრენინგები სასწავლო ცენტრში 29 სექტემბერს დაიწყო და 13 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ტრენინგის მონაწილეები მომზადებას გაივლიან სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე.

ამ დროისთვის სასწავლო პროგრამა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან პრობაციის 60-მა ოფიცერმა გაიარა.

პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG).

29.09.11

ტრენერთა ტრენერების მოსამზადებელი შეხვედრა

„დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წწ სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში ივნისის თვეში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ორგანიზება ევროსაბჭომ და პრობაციის სააგენტომ გაუწია.

ტრენინგი ითვალისწინებდა პრობაციის 10 ოფიცრის ტრენერებად გადამზადებას და ეფუძნებოდა სასწავლო პროგრამას „პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულთა მიმართებაში ევროპული სტანდარტების შესაბამისად“.

2011 წლის დეკემბრიდან აღნიშნული პროგრამის მონაწილე ოფიცრები ამავე პროგრამის მიხედვით თავად ჩაატარებენ ტრენინგებს საქართველოს პრობაციის ყველა ოფიცრის გადასამზადებლად.

პროექტის მონაწილეები დღეს ერთ დღიან მოსამზადებელ შეხვედრაზე შეიკრიბნენ. შეხვედრას წარუძღვა ევროსაბჭოს ექსპერტი რანდელ ბეროუსი.

ევროსაბჭოს ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად დღევანდელ შეხვედრაზე მომავალმა ტრენერებმა კიდევ ერთხელ განიხილეს სწავლების შედეგები და შემდგომი ტრენინგებისათვის ძირითადი მეთოდოლოგიური მიმართულებები დასახეს.

21.10.11

პირობით მსჯავრდებულთა კომპიუტერისა და ინგლისურის კურსები

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე, 15 პირობით მსჯავრდებული, კომპიუტერულ პროგრამებისა და ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსებს გაივლის. სწავლების პირველ დღეს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე გიორგი მაკასარაშვილი დაესწრო. პირობით მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა პრობაციის ეროვნული სააგენტოს მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

22.10.11

პროექტის „უნივერსალური ოფიცერი“ დახურვის ცერემონიალი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, პროექტ „უნივერსალური ოფიცერი“-ს დახურვის ცერემონიალი გაიმართა.

გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს, მიიღონ ცოდნა სასჯელაღსრულების სისტემის ყველა მიმართულებით. „უნივერსალური ოფიცერი“ პირველი გრძელვადიანი სასწავლო პროექტია, რომელიც ევროპაში არსებულ მსგავსი ტიპის სწავლებას ეფუძნება.

სამეტაპიანი სწავლება მოიცავდა თეორიულ, პრაქტიკულ, ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებას სასწავლო ცენტრში, ასევე შესწავლილი უნარ-ჩვევების პრაქტიკულად განხორციელებასა და შეფასებას სასჯელაღსრულების შესაბამის დაწესებულებაში. ღონისძიების ბოლოს სწავლების მონაწილეებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცათ.

ღონისძიება საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

23.10.11

შეხვედრა საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელთან

სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებში საფრანგეთის საელჩოს ატამეს ანე შამბონს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს საფრანგეთის საელჩოსთან სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, რომელიც ძირითადად ენაპთან გაფორმებული სამწლიანი მემორანდუმის ფარგლებში წარიმართება.

თანამშრომლობა განვითარდება ურთიერთგაცვლის პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, 2 საუკეთესო ქართველი მსმენელისა და ტრენერთა ჯგუფის ენაპში სწავლებაზე მივლინებას, მეორე მხრივ, სასწავლო ცენტრში ENAP-ის დირექტორობის კანდიდატი სტუდენტების სტაჟირების გავლასა და თანამშრომლობის კომიტეტის სხდომის მართვას.

საფრანგეთის მხარემ სურვილი გამოთქვა, ხელი შეუწყოს ტრენერთა ტრენინგის განხორციელებას საქართველოში ENAP -ის ექსპერტების მონაწილეობით. შეხვედრის დასასრულს სტუმარმა დაათვალიერა სასწავლო ცენტრის შენობა და კმაყოფილება გამოთქვა ცენტრში არსებული რესურსების გამო.

26.10.11

ტრენინგი - "პრობაციონერებთან ინდივიდუალური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება"

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში 27 ოქტომბერს პრობაციის ოფიცერთათვის დაიწყო ტრენინგი თემაზე „პრობაციონერებთან ინდივიდუალური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება“.

ტრენინგის მონაწილეები გაეცნობიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის მსხვერპლის და აგრესორის იდენტიფიკაცია და ძირითადი მახასიათებლები, ქცევის ცვლილების მოტივაციის გაღრმავება და მომავლის დაგეგმვა.

სასწავლო კურსის მანძილზე მსმენელები აგრეთვე იმუშავებენ პრობაციონერებთან ინდივიდუალური მუშაობისას აუცილებელი უნარ - ჩვევების განვითარებაზე: პრობაციონერებისთვის დახმარების გაწევა სტრესული რეაქციების დამძლევაში, ემოციური აგრესიისა და კონფლიქტის მართვაში, ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

სასწავლო კურსი ხორციელდება პროექტის ფარგლებში - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“. პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ევროკავშირი.

ტრენინგი 18 დღე გასტანს და 5 დეკემბერს დასრულდება.

28.10.11

ტრენინგი საბაზისო სასწავლო პროგრამის მიხედვით

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა ტრენინგი პირველდაწყებითი საბაზისო სასწავლო პროგრამის მიხედვით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის თანამშრომელთა N5 ჯგუფისათვის.

სასჯელაღსრულების სისტემის 24-მა თანამშრომელმა პირველდაწყებითი საბაზისო მომზადების 14-დღიანი სასწავლო კურსი თეორიულ, პრაქტიკულ, ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებაში გაიარა.

ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს, სასჯელაღსრულების სისტემის თავისებურებებსა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებს.

28.10.11

მინისტრმა უწყების სასწავლო ცენტრის თანამშრომლები დააჯილდოვა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი სასწავლო ცენტრების ევროპულ ორგანიზაციაში გაწევრიანდა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ორგანიზაციას ევროკავშირის არაწევრი ქვეყანა უერთდება.

აღნიშნული ორგანიზაციის მიზანი, ევროპის პენიტენციური სისტემების სასწავლო დაწესებულებებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარებაა.

ამასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ უწყების სასწავლო ცენტრის საუკეთესო თანამშრომლები დააჯილდოვა. სწორედ ამ ტრენერთა დამსახურებაა მაღალკვალიფიციური სასწავლო პროგრამების არსებობა და მაღალი სტანდარტებით სასწავლო პროცესების წარმართვა.

29.10.11

გაწევრიანება სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრების ევროპულ ქსელში - EPTA

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრების ევროპული ქსელში (EPTA) გაწევრიანდა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ორგანიზაციას ევროკავშირის არაწევრი ქვეყანა უერთდება.

სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრების ევროპული ქსელი (EPTA) 2010 წელს დაარსდა. მისი მიზანია პენიტენციური სისტემის სასწავლო დაწესებულებებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება.

სასწავლო ცენტრს, ქსელში გაერთიანება საშუალებას მისცემს, დაესწროს საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მოწყობილ ღონისძიებებს, სადაც რეგულარულად განიხილება სხვადასხვა ქვეყნების სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მომზადების ხაზით არსებული მნიშვნელოვანი მიღწევები, ტენდენციები და გამოწვევები.

ამასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ უწყების სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა და 7 საუკეთესო ტრენერი დააჯილდოვა.

სწორედ ამ ტრენერთა დამსახურებაა მაღალკვალიფიციური სასწავლო პროგრამების არსებობა და მაღალი სტანდარტებით სასწავლო პროცესების წარმართვა, რაც თავის მხრივ სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრების ევროპულ ქსელში (EPTA) მიღების საფუძველი გახდა.

02.11.11

კავკასიური პროექტი

საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების გერმანული ფონდის (IRZ) მიერ დაფინანსებული „კავკასიური პროექტის“ ფარგლებში 4-6 ნოემბერს სილნაღში ქართველი და სომეხი ტრენერების ერთობლივი ტრენერთა ტრენინგი გაიმართა.

ტრენინგი თეორიული ცოდნის გარდა ჯგუფებში როლურ თამაშებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებსაც მოიცავდა.

ქართველმა და გერმანელმა ექსპერტები ტრენინგის მონაწილეებს სწავლების თანამედროვე ინტერაქტიური მეთოდები და პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები გააცნეს. მონაწილეები ასევე სასჯელაღსრულების სისტემის სხვადასხვა სამსახურებს შორის თანამშრომლობის პრინციპებს გაეცნენ.

ღონისძიება საქართველოსა და სომხეთის სასწავლო დაწესებულებებს შორის დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა.

06.11.11

საბასიზოს სწავლება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო ტრენინგი საბასიზოს სასწავლო პროგრამის მიხედვით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის თანამშრომელთა VI ჯგუფისათვის.

სისტემის თანამშრომლები პირველდაწყებითი საბასიზოს მომზადების 14 დღიან სასწავლო კურსს გაივლიან. სასწავლო პროგრამა მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ, ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებას.

გარდა ამისა, ტრენინგის მონაწილეები გაეცნობიან საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს, სისტემის სარეჟიმო სამსახურის თავისებურებებსა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებს.

წარმატებული მონაწილეები მიიღებენ სერტიფიკატს. მონაწილეთა შეფასება ტაქტიკური მეთოდების, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარებით და შეფასების სამკომპონენტო სისტემის შესაბამისად განხორციელდება, რაც მოიცავს ტრენინგზე დასწრებას, შუალედურ გამოკითხვასა და ტესტირებას.

07.11.11

პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგების ერთთვიანი სერია სრულდება.

ოთხდღიანი სასწავლო პროგრამის მიხედვით სწავლება პრობაციის სააგენტოს 120-მა თანამშრომელმა გაიარა.

მათ ქართველმა და უცხოელმა ტრენერებმა გააცნეს ისეთი საკითხები, როგორცაა განრიდება და მისი კონცეფცია, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, სასჯელის

მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, ეთიკის კოდექსი და ეფექტური კომუნიკაცია.

საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრეველთა მისიის (NORLAG) ექსპერტმა რუნე ფიელდმა ტრენინგის მონაწილეებს პრობაციის ოფიცერსა და პრობაციონერებს შორის ურთიერთობების აგების ნორვეგიული გამოცდილება გაუზიარა.

სწავლების ბოლოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცემათ.

ღონისძიება საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრეველთა მისიის (NORLAG) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

13.11.11

სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის დამხმარე ლიტერატურა გამოიცა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროგრამის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა წიგნი „სასწავლო მასალები არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებებში მომუშავე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის“. წიგნზე სასწავლო ცენტრის, UNICEF-ისა და GCRT-ის ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი მუშაობდა.

სასწავლო მასალა შექმნილია სასჯელაღსრულების სისტემაში არასრულწლოვან პატიმრებთან მომუშავე თანამშრომელთათვის და მასში საქართველოს საქართველოს პატიმრობის კოდექსის ძირითადი საკითხების გარდა, შესულია პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკული მაგალითები და მათი განხილვა, არასრულწლოვანთა ქცევის შესაფასებელი ფორმა-კითხვარის პრაქტიკული გამოყენებისა და შედეგების ინტერპრეტაციის ინსტრუქცია.

02.12.11

ადამიანის უფლებათა მონიტორინგი - I ეტაპი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს ერთობლივ ტრენინგს „ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“.

ტრენინგი პრაქტიკულ ცოდნაზეა ორიენტირებული და მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. მონაწილეები გაეცნობიან თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგის ძირითად პრინციპებს, მეთოდოლოგიას, მონიტორინგის ჩატარების მექანიზმებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

თეორიული კურსის გარდა მსმენელები მონაწილეობას მიიღებენ პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და როლურ თამაშებში, განახორციელებენ იმიტირებულ მონიტორინგს.

ტრენინგში მონაწილეობას იღებენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის, სამედიცინო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტების თანამშრომლები.

ტრენინგის პირველი ეტაპი 2-4 დეკემბერს ქალაქ სილნაღში ჩატარდა. მეორე ეტაპი 10-11 დეკემბერს არის დაგეგმილი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში განხორციელდება.

05 .12.11

სასწავლო ცენტრის სტრატეგიის განხილვა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ევროსაბჭოში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 2012-2015 წლების განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფში სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა გარდა მოწვეული ექსპერტებიც არიან გაწევრიანებული.

შეხვედრის მონაწილეებმა 2011 წლის 6 დეკემბერს, სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრაზე, რომელიც ევროსაბჭოს ოფისში გაიმართა, სასწავლო ცენტრის 2012-2015 წლებისთვის შემუშავებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტი განიხილეს.

სამუშაო ჯგუფის მუშაობა ხორციელდება „დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წწ. სასამართლო რეფორმის, ადამიანის და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში.

07 .12.11

შეხვედრა აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელთან

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში შედგა შეხვედრა ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ სომხეთში აშშ-ს საელჩოს ტრანსნაციონალური დანაშაულის საქმეთა განყოფილების თანამშრომელი დანიელ ჰასტინგსი, საქართველოში აშშ-ს საელჩოს სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ინსტრუქტორი იურიდიულ საკითხებში სტეისი სამერჰილი და ამავე ბიუროს სასჯელაღსრულების მთავარი მრჩეველი დონალდ სტორვოსრი.

მხარეებმა ისაუბრეს სასწავლო ცენტრისა და ამერიკის საელჩოს თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე. საუბარი შეეხო ასევე სომხეთის ანალოგიური სასწავლო ცენტრთან არსებული თანამშრომლობის გაგრძელებასა და სამომავლო განვითარებას. სტუმრები დაინტერესდნენ ცენტრში არსებული ტრენინგებით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობითა და შეფასების სისტემის სპეციფიკით.

შეხვედრის ბოლოს სტუმრებმა დაათვალიერეს სასწავლო ცენტრის შენობა და კმაყოფილება გამოთქვეს ცენტრში არსებული რესურსების თაობაზე.

07.12.11

საზოგადოებრივი მისაღების კონსულტანტი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა საზოგადოებრივი მისაღების კონსულტანტთა გადამზადების მეორე ეტაპი.

ტრენინგის ძირითადი მიზანი იყო, მონაწილეთათვის იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც დაეხმარება მათ მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაციის განხორციელებაში.

ტრენინგის მონაწილეებმა შეისწავლეს სამართლებრივი დოკუმენტაციის წარმოების წესი, გაეცნენ სპეციალიზებულ კომპიუტერულ პროგრამას, რომელშიც მოუწევთ მუშაობა, განიხილეს ხშირად დასმული შეკითხვები.

საზოგადოებრივი მისაღების კონსულტანტებმა ასევე გაიარეს ყველა ის საკითხი თუ პრობლემა, რომლის გადაჭრაც მოუწევთ აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობისას. ეს თემებია: მომხმარებელთან კომუნიკაციის ძირითადი ასპექტები, მომხმარებელთა ტიპები, კონფლიქტური სიტუაციები და მათი მართვა, ქოუჩინგი და კოლეგიალური კონსულტაცია.

სასწავლო პროგრამა თეორიული ნაწილის გავლის შემდეგ მასალის განმტკიცების მიზნით პრაქტიკული სავარჯიშოების გავლასაც ითვალისწინებდა.

07.12.11

ადამიანის უფლებათა მონიტორინგი - II ეტაპი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა ტრენინგის „ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“ მეორე - დასკვნითი ეტაპი. დასკვნითი ეტაპი 2 დღე გაგრძელდა და ის პრაქტიკულ სავარჯიშოებზე იყო ორიენტირებული.

მონაწილეები გაეცნენ ეთიკის ნორმებს, რომელთა ცოდნაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა მონიტორინგის წარმატებით განხორციელებისათვის. თეორიული ნაწილის გავლის შემდეგ მათ პრაქტიკული სავარჯიშოს გაკეთება - „მონიტორინგის ეთიკის ნორმების შემუშავება“ დაევალათ.

ტრენინგის მეორე ეტაპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს იმიტირებული მონიტორინგი წარმოადგენდა. მსმენელებმა მონაწილეობა მიიღეს როლურ თამაშში და იმიტირებულ საკანში იმიტირებული პროცესი განახორციელეს. პროცესის დასრულების შემდეგ მათ ჩატარებული სამუშაოს ანგარიში მოამზადეს და პრეზენტაციის სახით წარადგინეს.

ტრენინგი ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

11.12.11

„პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულთა მიმართებაში ევროპული სტანდარტების მიხედვით“.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013 სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობისა და ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა ერთობლივი ტრენინგი თემაზე „პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულთა მიმართებაში ევროპული სტანდარტების მიხედვით“.

ტრენინგის მონაწილეებმა შეისწავლეს საერთაშორისო სტანდარტები, კოგნიტურ-ბიჰევიორული თეორია. მსმენელები ასევე გაეცნენ ზიანის მიყენების რისკის მართვას და ეფექტური კომუნიკაციის ძირითად საკითხებს. ტრენინგი ორ ეტაპად განხორციელდა. მონაწილეებმა ორივე ეტაპის ბოლოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მოახდინეს.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სამცხე-ჯავახეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის, იმერეთის, რაჭისა და ქვემო-სვანეთის პრობაციის ბიუროების თანამშრომლებმა.

ტრენინგის პირველი ეტაპი 3-4 დეკემბერს ქალაქ ქობულეთში, მეორე ეტაპი კი 10-11 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში განხორციელდა.

15.12.11

თსუ-ს სტუდენტების ვიზიტი სასწავლო ცენტრში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი დაათვალიერეს.

სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა სტუმრებს ცენტრის საქმიანობის შესახებ ესაუბრა. სტუდენტებისთვის მოეწყო სასწავლო ცენტრის შესახებ ფილმისა და პროგრამა „უნივერსალური ოფიცრის“ შესახებ სიუჟეტის ჩვენება.

სტუდენტები გაეცნენ სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის თანაშრომელთა მომზადების წესს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და შეფასების სისტემის სპეციფიკას.

შეხვედრის ბოლოს სტუდენტებმა დაათვალიერეს სასწავლო ცენტრის შენობა: საცხოვრებელი კორპუსი, აუდიტორიები, ტესტირების ოთახები, ბიბლიოთეკა, იმიტირებული საკანი და სპორტული დარბაზი პრაქტიკული მეცადინეობებისთვის.

19.12.11
